ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის 2015 წლის 10 თებერვლის N02-40 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის N2 ოქმი

(ქ. თბილისი, ღვინის აღმართი N1, N3 და N5-ში მდებარე შენობების რესტავრაცია - რეაბილიტაციის და ნაწილობრივი რეკონსტრუქციის პროექტის კონკურსი უ/ნ 1562)

ქ.თბილისი 06.04.2015

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის 2015 წლის 10 თებერვლის N02-40 ბრძანებით განსაზღვრული „ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საინჟინრო-საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების“ განსახორციელებლად შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ ზემოაღნიშნული კონკურსის მეორე სხდომა ჩატარდა 2015 წლის 6 აპრილს ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდ“-ში, შემდეგ იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N 48.

სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის – ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის – მერაბ ფოლადაშვილის ინიციატივით, კომისიისა და აპარატის წევრებისათვის შეტყობინების გზით.

სხდომას ესწრებოდნენ 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საინჟინრო-საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის მიერ 2015 წლის 10 თებერვლის N02-40 ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის და აპარატის შემადგენლობის შემდეგი წევრები:

1. კომისიის თავმჯდომარე - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - **მერაბ ფოლადაშვილი;**
2. კომისიის წევრი – ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სტრატეგიული თანამშრომლობის სამსახურის უფროსი – **ნინო კორძახია;**
3. კომისიის წევრი – ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი – **დავით ძაძამია;**
4. კომისიის წევრი – ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს არქიტექტორი – **ნინო ნოზაძე;**
5. კომისიის წევრი – ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის საინჟინრო შეფასებების ჯგუფის მთავარი სპეციალისტი – **გიორგი მაღრაძე;**
6. აპარატის წევრი – ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის შესყიდვების მთავარი სპეციალისტი – **გვანცა ბერუჩაშვილი;**
7. აპარატის წევრი – ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის პროექტების კოორდინირების ჯგუფის მთავარი სპეციალისტი – **ალექსანდრე მაღრაძე;**
8. აპარატის წევრი – ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს იურისტი **სალომე სართანია.**



კომისიის სხდომა გახსნა და ხელმძღვანელობდა ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი"-ს ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე – **მერაბ ფოლადაშვილი.**

სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება ეთხოვა ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი"-ს იურისტს – სალომე სართანიას.

**დღის წესრიგი:**

1.ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის" თავმჯდომარის 2015 წლის 10 თებერვლის N02-40 ბრძანების საფუძველზე „ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის" 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საინჟინრო-საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად შექმნილი საკონკურსო კომისიის" მიერ ქ. თბილისში, ღვინის აღმართი N1, N3 და N5-ში მდებარე შენობების რესტავრაცია-რეაბილიტაციის და ნაწილობრივი რეკონსტრუქციის პროექტის კონკურსში (უ/ნ 1562), კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების გახსნა.

**კომისიამ მოისმინა და განიხილა:**

1)კომისიის თავმჯდომარემ, მერაბ ფოლადაშვილმა მოახსენა კომისიის წევრებს, რომ ქ. თბილისში, ღვინის აღმართი N1, N3და N5-ში მდებარე შენობების რესტავრაცია- რეაბილიტაციის და ნაწილობრივი რეკონსტრუქციის პროექტის შესასყიდად გამოცხადებულ (უ/ნ 1562) კონკურსში მონაწილეობა მიიღო შემდეგმა ხუთმა კონკურსანტმა: ა) ა(ა)იპ „ინჟინრული აზრი"; ბ) შპს „რესტავრატორები და კომპანია"; გ) შპს „არკო 04"; დ) ძეგლებისა და ღირშესანიშნავი ადგილების საკითხების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირი „ICOMOS საქართველო"; ე) შპს „გეომეფი".

2)კომისიის და აპარატის წევრების მიერ წარმოდგენილი იქნა ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ. (დანართი N1)

3)კომისიის წევრის – ნინო კორძახიას მიერ წარმოდგენილ იქნა განცხადება, რომლითაც ითხოვს საკონკურსო კომისიაში მისი მონაწილეობის შეწყვეტას ინტერესთა კონფლიქტის გამო. (დანართი N2)

4) კომისიის თავმჯდომარემ მოახსენა კომისიის წევრებს, რომ ა(ა)იპ „ინჟინრული აზრის" მიერ წარმოდგენილი იქნა საკონკურსო წინადადება, სავალდებულო მასალები და ინფორმაცია ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე ბეჭდითა და ხელმოწერით დადასტურებული, კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, ერთ დალუქულ კონვერტში ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით დადასტურებული და ელექტრონული ვერსია- კომპაქტური დისკის – CD სახით.

5) კომისიის თავმჯდომარემ მოახსენა კომისიის წევრებს, რომ შპს „რესტავრატორები და კომპანიის" მიერ წარმოდგენილი იქნა საკონკურსო წინადადება, სავალდებულო მასალები და ინფორმაცია ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე ბეჭდითა და ხელმოწერით დადასტურებული, კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, ერთ დალუქულ კონვერტში, ბეჭდით დადასტურებული და ელექტრონული ვერსია- კომპაქტური დისკის – CD სახით.



6) კომისიის თავმჯდომარემ მოახსენა კომისიის წევრებს, რომ შპს „არკო 04"-ის მიერ წარმოდგენილი იქნა საკონკურსო წინადადება, სავალდებულო მასალები და ინფორმაცია ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე ბეჭდითა და ხელმოწერით დადასტურებული და ელექტრონული ვერსია - კომპაქტური დისკის - CD სახით.

7) კომისიის თავმჯდომარემ მოახსენა კომისიის წევრებს, რომ „ძეგლებისა და ღირშესანიშნავი ადგილების საკითხების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირი „ICOMOS საქართველოს" მიერ წარმოდგენილი იქნა საკონკურსო წინადადება, სავალდებულო მასალები და ინფორმაცია ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე ბეჭდითა და ხელმოწერით დადასტურებული, კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, ერთ დალუქულ კონვერტში ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით დადასტურებული და ელექტრონული ვერსია- კომპაქტური დისკის - CD სახით.

8) კომისიის თავმჯდომარემ მოახსენა კომისიის წევრებს, რომ შპს „გეომეფის" მიერ წარმოდგენილი იქნა საკონკურსო წინადადება, სავალდებულო მასალები და ინფორმაცია ერთ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე ბეჭდითა და ხელმოწერით დადასტურებული, კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, ერთ დალუქულ კონვერტში და ელექტრონული ვერსია- კომპაქტური დისკის - CD სახით.

**კომისიამ დაადგინა:**

1)დაკმაყოფილდეს ნინო კორძახიას განცხადება და შეწყდეს მისი მონაწილეობა ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი"-ს თავმჯდომარის 2015 წლის 10 თებერვლის N02-40 ბრძანებით შექმნილ „ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის" 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საინჟინრო-საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების" საკონკურსო კომისიაში N1562 კონკურსის ფარგლებში.

2) კონკურსანტის - ა(ა)იპ „ინჟინრული აზრის" მიერ N1562 კონკურსში წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული მონაცემები შეესაბამება საკონკურსო პირობებსა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით განსაზღვრული მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3) კონკურსანტის - შპს „რესტავრატორები და კომპანიის" მიერ N1562 კონკურსში წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული მონაცემები შეესაბამება საკონკურსო პირობებსა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით განსაზღვრული მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4) კონკურსანტის - შპს „არკო 04"-ის მიერ N1562 კონკურსში წარმოდგენილ დოკუმენტებთან ერთად არ იყო წარმოდგენილი მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.



შესაბამისად, „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე საკონკურსო წინადადება არ განიხილება.

5) კონკურსანტის - „ძეგლებისა და ღირშესანიშნავი ადგილების საკითხების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირი „ICOMOS საქართველო“ მიერ N1562 კონკურსში წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული მონაცემები შეესაბამება საკონკურსო პირობებსა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით განსაზღვრული მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებს.

6) კონკურსანტის - შპს „გეომეფის“ მიერ N1562 კონკურსში წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული მონაცემები შეესაბამება საკონკურსო პირობებსა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით განსაზღვრული მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებს.

**ხელმოწერები:**

კომისიის თავმჯდომარე - მერაბ ფოლადაშვილი

კომისიის წევრი - დავით ძაძამია

კომისიის წევრი - ნინო ნოზაძე

კომისიის წევრი - გიორგი მაღრაძე

დანართი N1

## ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი"-ს თავმჯდომარის 2015 წლის 10 თებერვლის N02-40 ბრძანების საფუძველზე შექმნილი საკონკურსო კომისიის და აპარატის შემდეგი წევრები ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში „ქ. თბილისში, ღვინის აღმართი N1, N3 და N5-ში მდებარე შენობების რესტავრაცია - რეაბილიტაციის და ნაწილობრივი რეკონსტრუქციის პროექტის" შესასყიდად გამოცხადებულ N1562 კონკურსში" მონაწილე კონკურსანტებთან.

**ხელმოწერები:**

კომისიის თავმჯდომარე - მერაბ ფოლადაშვილი

კომისიის წევრი - დავით ძაძამია

კომისიის წევრი - ნინო ნოზაძე

კომისიის წევრი - გიორგი მაღრაძე

აპარატის წევრი - გვანცა ბერუჩაშვილი

აპარატის წევრი - ალექსანდრე მაღრაძე

აპარატის წევრი - სალომე სართანია

06.04.2015

დანართი N2

# განცხადება

06.04.2015

მოგახსენებთ, რომ ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის 2015 წლის 10 თებერვლის N02-40 ბრძანების საფუძველზე, წარმოვადგენ ამავე ბრძანების საფუძველზე შექმნილი „2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საინჟინრო-საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების“ საკონკურსო კომისიის წევრს. აღნიშნულ კონკურსში მონაწილე პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების გახსნისას, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთ პრეტენდენტს წარმოადგენს ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირი ,,ICOMOS/საქართველო“. გაცნობებთ, რომ ვარ ,,ICOMOS/საქართველო“-ს ეროვნული კავშირის წევრი. მართალია, აღნიშნული არ წარმოშობს ჩემსა და ,,ICOMOS/საქართველო“-ს შორის ინტერესთა კონფლიქტს, თუმცა ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, გთხოვთ, შემიწყვიტოთ წევრობა ზემოთმითითებულ საკონკურსო კომისიაში (N1562).

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და
სტრატეგიული თანამშრომლობის სამსახურის უფროსი

ნინო კორძახია